საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 1990/01
05/03/2021

1990-01-2-202103051041

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 19 თებერვლის N2907, N2921 და N2908 სკრინინგის განცხადებები, რომლებიც ეხება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ საერთაშორისო მნიშვნელობის E-60 ავტომაგისტრალის ბორითი-ხევის (F2) მონაკვეთის მოდერნიზაციის პროექტის ფარგლებში, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სოფ. ვერტყვიჭალისა და სოფ. საქასრიას მიმდებარედ N6, N7 და N9 ფუჭი ქანების სანაყაროების ნაპირდამცავ ნაგებობებს (ნაპირდამცავი ფლეთილი ქვის კონსტრუქციები).

როგორც სამინისტროს 2021 წლის 2 თებერვლის N776/01 წერილით გეცნობათ, სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს სანაყაროს და უშუალოდ ნაპირდამცავი ნაგებობის მოწყობისათვის შერჩეულ ტერიტორიებზე ჭრა/განადგურებას დაქვემდებარებული მცენარეების ნუსხას და მათ რაოდენობას. წარმოდგენილი N2907 სკრინინგის განცხადების თანახმად, N6 სანაყაროს ნაპირდაცვითი ნაგებობის საპროექტო ტერიტორიაზე გვხვდება 11 მურყანი (*Alnus barbata*) და 1 ტირიფი (*Salix magnifica*). ამასთან აღნიშნულია, რომ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მოხდება უფლებამოსილ უწყებებთან (მათ შორის სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან) ხე-მცენარეების ჭრასთან დაკავშირებით შესაბამისი ნებართვების მოპოვება. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, სკრინინგის განცხადებაში არ არის ნათლად წარმოდგენილი ექვემდებარება თუ არა ზემოაღნიშნული ხე-მცენარეები ჭრა/განადგურებას. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო ტერიტორიაზე ჭრა/განადგურებას დაქვემდებარებული მცენარეების ზუსტი რაოდენობა.

ამასთან, მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ N6, N7 და N9 ფუჭი ქანების სანაყაროების ნაპირდამცავი ნაგებობების სკრინინგის განცხადებებით წარმოდგენილი საპროექტო ტერიტორიები არ ხვდება სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტყის ფონდის საზღვრებში. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს, სკრინინგის განცხადებების თანახმად, ხე-მცენარეების ჭრა/განადგურების სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან შეთანხმების საკითხი.

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044

წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებებში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები:

- სკრინინგის განცხადებები უნდა მოიცავდეს ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ვადების შესახებ;
- N6 ფუჭი ქანების სანაყაროს სკრინინგის განცხადებით წარმოდგენილი ნაპირდაცვითი ნაგებობის საპროექტო ტერიტორია მოიცავს კერძო საკუთრების არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის გარკვეულ ნაწილს (ს/კ 36.03.37.422), რასთან დაკავშირებითაც სკრინინგის განცხადებაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია. ამასთან, მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთის მფლობელთან შპს „ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 205368029) გაფორმებული ჰქონდა იჯარის ხელშეკრულება, რომელსაც ვადა გაუვიდა 2021 წლის 14 თებერვალს. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს ზემოაღნიშნული საკითხი, მათ შორის წარმოდგენილ უნდა იქნეს განახლებული იჯარის ხელშეკრულება (არსებობის შემთხვევაში);
- N7 ფუჭი ქანების სანაყაროს სკრინინგის განცხადებით წარმოდგენილი ნაპირდაცვითი ნაგებობის საპროექტო ტერიტორია მოიცავს კერძო საკუთრების სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის (ს/კ 36.08.33.855) გარკვეულ ნაწილს, შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას და საპროექტო ტერიტორიის საკუთრების ან იჯარის ხელშეკრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენას;
- N7 ფუჭი ქანების სანაყაროს ნაპირდაცვითი ნაგებობის მოწყობის სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს 160 მეტრში, თუმცა მონაცემების ელექტრონული გადამოწმებით უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს 80 მეტრში. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- N6 ფუჭი ქანების სანაყაროს ნაპირდაცვითი ნაგებობის მოწყობის სკრინინგის განცხადების თანახმად, მოსაწყობი კონსტრუქციის სამშენებლო ტერიტორიის უკიდურესი დასავლეთი წერტილიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე პირდაპირი მანძილი შეადგენს 165 მ-ს. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ ნაპირდაცვითი ნაგებობის საპროექტო ტერიტორიიდან 130 მეტრში ფიქსირდება შენობა-ნაგებობა, რომელიც სავარაუდოდ წარმოადგენს საცხოვრებელ სახლს. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს მანძილი უახლოეს მოსახლემდე;
- N9 ფუჭი ქანების სანაყაროს ნაპირდაცვითი ნაგებობის მოწყობის სკრინინგის განცხადების თანახმად, მოსაწყობი ნაპირდამცავი კონსტრუქციის სამშენებლო ტერიტორიიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე პირდაპირი დაშორებით მანძილი შეადგენს 115 მ-ს. ტერიტორიის ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ ნაპირსამაგრი ნაგებობის ჩრდილო-დასავლეთით, მომიჯნავედ, მდებარეობს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ: 36.03.37.106), მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს მანძილი უახლოეს მოსახლემდე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილებების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით სრულყოფილი სკრინინგის განცხადებების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე